+

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის ---- თებერვალი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი — გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე — რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482401060**
თარიღი: **10/01/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2023 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნას და განახლებას; სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაზე ზედამხედველობას, წინადადებებისა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე; რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა დასარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით; მუნიციპალური ქონების საპრივატიზებო ნუსხის პროექტის მომზადებას; საპრივატიზაციო ან სარგებლობით გადასაცემი ქონების დოკუმენტაციის მომზადება; საჯარო და/ან ელექტრონული აუქციონისათვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას; შეიმუშავებს წინადადებებს მუნიციპალიტეტის ძირითად (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ, ახორციელებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და დაფინანსების შესაძლებლობების მოძიებას, უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიღებას, საგრანტო წინადადებების და მასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას, მონიტორინგს და შეფასებას, ახორციელებს ასევე კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2023 წლის პირველ კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებიდსა და ქონების მართვის სამსახურის მიერ შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის განხორციელების მიზნით 18 მოქალაქეს გადაეცა ფართობი საკუთრებაში და გაიცა შესაბამისი საკუთრების მოწმობა, ხოლო ერთი განცხადება დარჩა განუხილველი.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სახელმწიფოდან დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი ქონება:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიწის ნაკვეთი.
- -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მდებარე 4254 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანისნულების მიწის ნაკვეთი (საკ. კოდი N29.09.39.471).

- სოფელ გეგუთში 47-ე ქუჩა N27-ის ჩრდილოეთით მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 29.14.33.362.
- სოფელ მაღლაკში მდებარე 64 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი N29.10.34.607.
- სოფელ მაღლაკში მდებარე 42 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი N29.10.34.049.
- ქალაქ წყალტუბოში შანიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არდებული 53 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N29.08.37.222.
- ქალაქ წყალტუბოში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. საკ.კოდი N29.08.41.897 (აბრა).
- ქალაქ წყალტუბოში, ლორთქიფანიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. საკ.კოდი N29.05.37.822 (აბრა).
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე 82 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. საკ.კოდი N29.14.38.578 (საპრივატიზაციო).
- ქალაქ წყალტუბოში, წერეთლის ქუჩა N8-ში მდებარე 240კვ.მ არასასოფლო-სამეყრნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 29.08.32.646
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში მდებარე უძრავი ქონება ს/კ 29.09.38.273
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონში მდებარე 2589 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 29.06.38.748
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სარგებლობაში 1 (ერთი) წლის ვადით დარეგისტრირდა, ქალაქ წყალტუბოში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა N3-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 903 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სარგებლობაში, უვადოდ დარეგისტრირდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში მდებარე უძრავი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (საკ.კოდი N29.07.37.324).

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაიცა შემდეგი ქონება:

ქალაქ წყალტუბოში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩის პირველი შესახვევი, N1-ში მდებარე 1368 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკ.კოდი N29.08.31.525) უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ფიზიკურ პირს ავთანდილ ჭიქავას.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10173 კვ.მ. (საკ.კოდი N29.08.32.531) და 4677 კვ.მ. (საკ.კოდი N 29.08.32.532) მიწის ნაკვეთები უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ა(ა)იპ ,,წყალტუბოს არენას''
- ქალაქ წყალტუბოში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ განთავსებული ს/კ 29.08.36.092 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ ,,წყალტუბოს არენას''.

- ქალაქ წყალტუბოში წერეთლის ქუჩა N11-ში მდებარე შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებული 546.5 კვ.მ ფართი ს/კ 29.08.31.529.01.500 უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრს.''
- ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩა N27-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 33.5 კვ.მ ფართი უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ა(ა იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრს''.

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობოსა და დასუფთავების გაერთიანებას'' უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა ავტომობილი (ამწე კალათა) Nissan cabstar. ასევე, 40 (ორმოცი) ცალი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე ელექტრონული აქუციონის ფორმით პრივატიზებულ იქნა **8** ერთეული ქონება, ბიუჯეტში შესულმა თანხამ პრივატიზების შედეგად შეადგინა 41 378.50 ლარმა.

შენობა-ნაგებობების იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 68.390 ლარი, ხოლო მიწის იჯარიდან 182.267 ლარი, ჯარმებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა **849** ლარი.

სამსახურის მიერ ხორცილედება უძრავი და მოძრავი ქონებების მონაცემთა ბაზაში შეყვანა, აღრიცხვა და განკარგვა.

სამსახურის მიერ მომზადებული პროექტის საფუძველზე პროექტის ფარგლებში ,,თანამშრომლობის პარტნიორები ლატვიაში'' მომზადებულ და გაგზავნილ იქნა პროექტი თემაზე ,, ციფრული მარკეტინგის განვითარების შესახებ''

სამსახურის მიერ ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო რწმუნებულის აპარატიდან შემოსულ წერილებზე მიწის ნაკვეთების განკარგვასთან (იჯარა/ პრივატიზება) დაკავშირებით.

სამსახურის მიერ დაწყებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებაზე მუშაობა, შექმნილია სამუშაო ჯგუფი და მიმდინარეობს საკითხის შესწავლა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, მერის დავალებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.